

## საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2013-2016წ.წ.)

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი

2012 წლის მაისის მდგომარეობით იუსტიციის დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

1. დეპარტამენტის თავმჯდომარის აპარატი:
  - ა) კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილება;
  - ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.
2. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო:
  - ა) სამართალშემოქმედების განყოფილება;
  - ბ) სამართლებრივი ექსპერტიზის განყოფილება.
3. არქივის განყოფილება.
4. საფინანსო სამსახური (მთავარი ბუღალტერი).

თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა თითოეული სამსახურის დანიშნულება, ძლიერი და სუსტი მხარეები, მიღწეული წარმატებები და პრიორიტეტული მიმართულებები.

**დეპარტამენტის სამართლებრივი ბაზის შესწავლა:** იუსტიციის დეპარტამენტის მმართველობის სფერო, ამოცანები და უფლებამოსილებანი განსაზღვრულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 12 ოქტომბრის №25 დადგენილებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულებით.

დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზაა:

- საქართველოს კონსტიტუცია
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
- საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“
- აფხაზეთის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
- აფხაზეთის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“
- საქართველოსა და აფხაზეთის სხვა სამართლებრივი აქტები.

## პრიორიტეტების დასახელება:

- ა) ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;
- ბ) სამართალშემოქმედებითი საქმიანობა;  
აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შემუშავება;
- გ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისათვის ხელის შეწყობა; აფხაზეთის სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- დ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა;
- ე) საარქივო საქმიანობის წარმოება;
- ვ) ადამიანური რესურსების მართვა;
- ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობა.
- თ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიმღებ პირებზე;

## განხორციელების საგარეუდო ვადები:

*2013-2016წ.წ.*

## პრიორიტეტის დასახუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) საქმიანობის პრიორიტეტები გამომდინარეობს და ეფუძნება თანამედროვე სამართლებრივ, პოლოტიკურ და სოციალურ რეალობას. დეპარტამენტი საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მისი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ახორციელებს თავის საქმიანობას და მისი კომპეტენცია, ძირითადი ამოცანები და მოქმედების სფერო განსაზღვრულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 12 ოქტომბრის №25 დადგენილებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულებით. დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზაა:

- საქართველოს კონსტიტუცია

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
- საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“
- აფხაზეთის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“
- აფხაზეთის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“.

### პრიორიტეტის მოკლე აღწერა:

ა) **ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა:** დეპარტამენტი ახორციელებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ მომზადებული ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას, რომელიც მოიცავს როგორც დოკუმენტების შედგენის იურიდიული ტექნიკის უზრუნველყოფას, ასევე სამართლებრივი ხასიათის დასკვნების მომზადებას უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შემოსული პროექტების შესაბამისობის თაობაზე. ამ საქმიანობას ახორციელებს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს სამართლებრივი ექსპერტიზის განყოფილება. აღნიშნული განყოფილების ფუნქციაში შედის ასევე სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან“ კომუნიკაცია აფხაზეთის ნორმატიული აქტების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. განყოფილება გამოსაქვეყნებელი მასალების სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ წარდგენამდე უზრუნველყოფს მათ შემოწმებას გამოქვეყნებაზე უარის თქმის საფუძვლების აღმოჩენა-გამოსწორების მიზნით.

ამ სფეროში მთავარი პრიორიტეტია დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში აფხაზეთის ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებისას სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება და აფხაზეთის ნორმატიული აქტების გამოქვეყნების ხელშეწყობა.

ბ) **სამართალშემოქმედებითი საქმიანობა:** დეპარტამენტის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სისტემაში ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; საქართველოსა და აფხაზეთის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ პრობლემურ საკითხებზე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება; აფხაზეთის მთავრობის მმართველობის სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გადარჩევა-

ანალიზის კუთხით შესწავლა (არსებითად მოძველებული ნორმატიული აქტების გამოვლენის მიზნით) და აფხაზეთის მთავრობისთვის შესაბამისი წინადადებების წარდგენა;

აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს სამართალშემოქმედებითი განყოფილება.

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო (სამართლებრივი ექსპერტიზის განყოფილება და სამართალშემოქმედების განყოფილება), რომელიც უზრუნველყოფს ერთის მხრივ, აფხაზეთის კანონმდებლობის ნორმატიული ბაზის შიდა შესაბამისობას (ურთიერთთავსებადობას), ხოლო, მეორეს მხრივ აფხაზეთის კანონმდებლობის შესაბამისობას საქართველოს სამართლებრივ აქტებთან - სამმართველო მჭიდროდ თანამშრომლობს აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან.

მისი მთავარი პრიორიტეტია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა სრულყოფის მიზნით.

გ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისათვის ხელის შეწყობა; აფხაზეთის სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობა - სამართლებრივი ექსპერტიზისა და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე სამმართველოს (სამართლებრივი ექსპერტიზის განყოფილების) მიერ ხორციელდება გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შემოწმება გამოქვეყნებაზე უარის თქმის საფუძველების აღმოფხვრის მიზნით და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე ნორმატიული აქტების გამოქვეყნება;

დეპარტამენტის მიერ განხორციელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი სამართლებრივი აქტების მოძიება-აღდგენა და ელექტრონული და მატერიალური ვერსიების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესათვის“ გადაცემა აფხაზეთის ყველა მოქმედი სამართლებრივი აქტის სისტემატიზირებული, კოდიფიცირებული ვერსიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

დ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა: დეპარტამენტი, როგორც აფხაზეთის მთავრობის დაწესებულება სისტემატურად ახორციელებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებთან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან-დევილიებთან სამართლებრივ ურთიერთობას. აღნიშნულ პირებს კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომლები უწყვენ იურიდიული ხასიათის საკითხებზე კონსულტაციებს

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ პრიორიტეტის რეალიზებისათვის მუშავდება შესაბამისი სოციალური ხასიათის პროგრამები და პროექტები.

დევენილებისათვის ამ მიმართულების მთავარი პრიორიტეტია კომპეტენციის ფარგლებში დევენილი მოსახლეობის სამართლებრივი დონის ამაღლება მათი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით.

#### **ე) საარქივო საქმიანობის წარმოება:**

დეპარტამენტისთვის დებულებით მინიჭებული უფლებამოსილებათა სპექტრი განაპირობებს დეპარტამენტის ფუნქციონალური განვითარების ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმიანობის მართვას, საარქივო საქმისწარმოების სრულყოფას და საარქივო საქმის განვითარებას უზრუნველყოფს დეპარტამენტის არქივის განყოფილება. ძირითადი აქცენტი აღნიშნულ საქმიანობაში კეთდება აფხაზეთის საარქივო ფონდის შევსებაზე, საარქივო დოკუმენტების აღწერა-სისტემატიზირებაზე, შესაბამისი ზედამხედველობის გაწევაზე აფხაზეთის სტრუქტურების მიმართ. ამ მიზნით დეპარტამენტის მიერ რეგულარულად ტარდება სარეკომენდაციო-გაცნობითი ხასიათის სემინარები აფხაზეთის დაწესებულებების სპეციალისტებისათვის საარქივო საქმიანობის ორგანიზაციული სრულყოფის მიზნით.

ამ სფეროს მთავარი პრიორიტეტია - აფხაზეთის საარქივო საქმიანობის განვითარება სამინისტროების, უწყებების და დაწესებულებების არქივების ორგანიზაციის, მეთოდური უზრუნველყოფის და საარქივო საქმიანობის კოორდინაციის გზით, ასევე საარქივო საქმიანობის მართვის ეფექტურობის გაზრდის კუთხით.

აღსანიშნავია ისიც, რომ დეპარტამენტის დებულება სრულად არ ასახავს იმ ფუნქციონალურ დატვირთვას, რასაც დეპარტამენტის არქივის განყოფილება ასრულებს რეალურად.

ამდენად, დებულებაში ცვლილებების შეტანა და ამ კუთხით ორგანიზაციული და ფუნქციური ცვლილებების განხორციელება წარმოადგენს აუცილებლობას და სამოქმედო გეგმის ფარგლებშია გათვალისწინებული.

მითითებულ პერიოდში არქივის განყოფილების მიერ იგეგმება შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის განყოფილებაში დაცული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დიგიტალიზაციის პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფა.

2. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შემადგენლობისა და შინაარსის ოპტიმიზაცია.

3. მოქალაქეთა საცნობარო-საინფორმაციო მომსახურების გაუმჯობესება.

4. სამუშაო ადგილების აღწერილობების (თანამდებობრივი ინსტრუქციების) განახლება არქივში სტრუქტურულ ან/და საკადრო ცვლილებების შემთხვევაში.

5. არქივის თემატური და ანბანური კატალოგების რედაქტირება, არქივის მეგზურზე მუშაობის დასრულება.



6. მუშაობის გაგრძელება არქივში დაცული დოკუმენტების მიზნობრივი შემფასებელი ექსპერტიზის ჩასატარებლად ადგილზე შემუშავებული გეგმის მიხედვით.

7. თათბირ-სემინარებისა და კონსულტაციების ჩატარების გზით „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების“ პრაქტიკაში დანერგვა.

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო დაწესებულებებისათვის დახმარების გაწევა, „დაწესებულებების აქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ საფუძველზე, საუწყებო ნუსხების შემუშავებაში.

9. არქივის განყოფილების დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საარქივო საქმისა და საქმისწარმოების მდგომარეობის შემოწმების განხორციელება.

10. ღონისძიებების გატარება არქივის დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებებში შენახვის ზღვრული ვადების დადგენილი ვადის ზევით დაცული დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკურ წესრიგში მოყვანისა და არქივის განყოფილებაში ჩასაბარებლად.

11. პრესის, რადიოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდის ([www.abkhazijustice.gov.ge](http://www.abkhazijustice.gov.ge)) საშუალებით მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება არქივში დაცული დოკუმენტების შესახებ და მათი საზოგადოებრივი ღირებულების გაშუქება.

12. ურთიერთობის დამყარება უმაღლეს სასწავლებლებთან და მათთვის ღია გაკვეთილების ჩატარება არქივში.

იგეგმება აფხაზეთის არქივის ბაზაზე სხვადასხვა კულტურული, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება. ასევე გათვალისწინებულია აფხაზეთის ბიბლიოთეკის ჩამოყალიბების პროექტის მომზადება და მისი განხორციელება შესაბამის დაინტერესებულ სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად.

**ვ) ადამიანური რესურსების მართვა:** დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს საკადრო პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება დეპარტამენტის ფუნქციების ქმედითი და შედეგიანი განხორციელება. აღნიშნულ საკითხში დეპარტამენტისთვის მნიშვნელოვანია საჯარო მოსამსახურეების პროფესიული ღონის შენარჩუნება მაღალ სამსახურებრივ დონეზე, რაც მიღწევადია სისტემატურად დეპარტამენტის თანამშრომლების სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეშვეობით. აგრეთვე, ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესებისა და დეპარტამენტში ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვისთვის მნიშვნელოვანია სტაჟირების (პრაქტიკის) გავლის პროცესის აქტიური და ეფექტიანი გამოყენება. აღნიშნულ მიმართულებას უზრუნველყოფს დეპარტამენტის კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილება და მისი მთავარი პრიორიტეტია ადამიანური რესურსების მართვის ხარისხის გაზრდა.

**ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობა:** დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის წარმომადგენლებთან ურთიერთობას დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე. აღნიშნული საქმიანობა წარიმართება ორი ძირითადი მიმართულებით. პირველი - აქტიური კომუნიკაცია სახელმწიფო დაწესებულებებთან და სხვადასხვა საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მეორე - კომუნიკაცია სამოქალაქო

საზოგადოებასთან. პირველი ხორციელდება ყოველდღიური სამუშაო პროცესის ფარგლებში, მეორე - სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ორგანიზებით და ასევე კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული მოქმედებების გზით. აღნიშნულ საქმიანობას უზრუნველყოფს დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება. საზოგადოებასთან ურთიერთობის ინტენსიფიკაციის მიზნით იქმნება დეპარტამენტის ოფიციალური საიტი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოების წარმომადგენლები შეძლებენ თავისუფლად და ხელმისაწვდომ რეჟიმში გაეცნონ დეპარტამენტის საქმიანობას. ამ მიმართულების მთავარი პრიორიტეტია მაქსიმალური გახსნილობა და პოზიტიური კომუნიკაციის ჩამოყალიბება საზოგადოებასთან - სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობის მეშვეობით.

### **მოსალოდნელი შედეგები:**

ა) ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა - აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ნორმატიული აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენა, ხოლო სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე კონკრეტული წინადადებების შემუშავება და წარდგენა.

ბ) სამართალშემოქმედებითი საქმიანობა - დეპარტამენტის ფუნქციებიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის შესწავლა-ანალიზის შედეგად შესაბამისი წინადადებების წარდგენა უფლებამოსილი ორგანოებისათვის; კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება.

გ) აფხაზეთის სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობა - იუსტიციის დეპარტამენტის მეშვეობით „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთვის“ აფხაზეთის სამართლებრივი აქტების ელექტრონული და მატერიალური ვერსიების გადაცემით შესაძლებელი გახდება აფხაზეთის მოქმედი სამართლებრივი აქტების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ web-გვერდზე - განთავსება და ოფიციალური კოდიფიცირებული ვერსიების ხელმისაწვდომობა დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის.

დ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა - დევნილ მოსახლეობასთან ურთიერთობების ინტენსიფიკაცია. კომპეტენციის ფარგლებში დევნილებისთვის გაწეული სამართლებრივი კონსულტაციების ეფექტურობის გაზრდა.

ე) საარქივო საქმიანობის წარმოება - იუსტიციის დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, აფხაზეთის სახელმწიფო დაწესებულებებში საარქივო საქმიანობის სრულყოფა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის შევსება-განვითარება. წინამდებარე გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული მიზნების მიღწევა.

ვ) ადამიანური რესურსების მართვა - კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალგაზრდა კადრების მოზიდვა.

ზ) საზოგადოებასთან ურთიერთობა - დეპარტამენტში გაწეული სამუშაოს ფართო საზოგადოებისათვის წარდგენის ხარისხის განვითარება; თანამედროვე საინფორმაციო რესურსების გამოყენებით ბეჭდვითი, ტელე და ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

**შედეგების შეფასების კრიტერიუმები:**

- მიღწეული შედეგის ეფექტურობა;
- სტატისტიკური კრიტერიუმი;
- დეპარტამენტის საქმიანობის სოციალური ასახვის ხარისხი;
- დეპარტამენტის საქმიანობის საჯაროობის დონე.

**ხელმოწერა**